[illegible] უნდა ჩვენი [illegible] მყოფადი!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 242 (20988) — ოთხშაბათი, 17 ოქტომბერი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

## უმაღლესი სასწავლებლების სტატუსის შესახებ

**ქვეყანაში** მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების წარმატება, საზოგადოების ზნეობრივი და სულიერი პროგრესი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული თითოეული საბჭოთა ადამიანის პიროვნების კულტურასა და მუდმივ შემოქმედებითს განვითარებაზე. ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს სახალხო განათლების მთელი სისტემის, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების, თავისუფალ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით განპირობებულ ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში სპეციალისტებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების ხარისხს, უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ეფექტიანობას განსაზღვრავს მათი სამართლებრივი და ეკონომიკური დაცულობა, სახელმწიფოს მხრივ სტაბილური მხარდაჭერა, განათლებისა და პროფესიული მომზადების საზოგადოებრივი მნიშვნელობის ზრდა.

საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის [illegible]

ასეთი სტატუსი შეიძლება წარედგინოს უმაღლეს სასწავლებელს მისი აკრედიტაციის გზით სახალხო განათლების სამმართველოს საკავშირო ან რესპუბლიკური ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესით წესდების რეგისტრაციით.

2. გადაეცეს ამ ბრძანებულების პირველი მუხლის თანახმად ავტონომიამინიჭებული უმაღლესი სასწავლებლების სარგებლობაში არსებული ძირითადი ფონდები და სხვა სახელმწიფო ქონება მათს განსაკუთრებულ საკუთრებაში და განისაზღვროს ამ უკანასკნელის სტატუსი „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ" სსრ კავშირის კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად.

3. რეკომენდაცია მიეცეს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს გაითვალისწინოს ამ ბრძანებულების დებულებანი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის განხილვისას.

[illegible]

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
**მ. გორბაჩოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 12 ოქტომბერი.



## გამოზამთრება მაძღრისი იქნება

გორის რაიონის სოფელ ძევერის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში არა მარტო ხილის, არამედ ბოსტნეულის, მარცვლეულის, მრავალწლოვანი ბალახების უხვი მოსავალი მოიწიეს. [illegible]

პირუტყვს უზრუნველყოფილი ექნება მაძღრისი გამოზამთრება.

სურათზე: ძევერის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ომარ ბუ[illegible]

[illegible]

## საუბარი სსრ კავშირის პრეზიდენტთან

15 ოქტომბერს [illegible]

## საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისათვის

**საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამების ირგვლივ მართლაც უჩვეულო, დაუსრულებელი კამათია გაჩაღებული როგორც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მეოთხე სესიაზე, ისე რადიო-ტელევიზიით, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ამ საკითხთან დაკავშირებული დეპუტატების გამოსვლები, სპეციალისტების მოსაზრებანი ხშირად იმდენად წინააღმდეგობრივი, უჩვეულო და მოულოდნელია, რომ ბევრ ჩვენგანს უჭირს გამოიტანოს დასკვნები, თუ რა ხდება. სიტყვების რახა-რუხის „დემოკრატიამ", ერთმანეთზე თავდასხმებმა, უტაქტობამ და გაუგებრობამ თავის ზენიტს მიაღწია. ყველა ვერ გარკვეულა, მაგალითად, სად მიდის ის რუსეთი, რომელმაც, როგორც ეს ჰიმნშია ნათქვამი, თავისუფალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები სამუდამოდ დაუკავშირა ერთმანეთს? რას უნდა დაეყრდნოს ურუსეთო საბჭოთა კავშირი. საერთოდ, როგორი იქნება ეს კავშირი, თუ უკვე რამდენიმე რესპუბლიკამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ხვალ-ზეგ, ალბათ, სხვებიც ასე მოიქცევიან? როგორ დაიდება ხელშეკრულებანი საბჭოთა კავშირსა და რესპუბლიკებს შორის?**

აი ზოგიერთი იმ საკითხთაგან, რომლებიც აფიქრებს და აღელვებს ადამიანებს დღევანდელ ურთულეს პირობებში. დრო აღარ ითმენს, ახლოვდება საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პერიოდი. როგორი იქნება ეს გადასვლა უმძიმეს კრიზისში მყოფი ეკონომიკისათვის? ცხადია, შეუძლებელი, თუ ვერ მივაღწევთ მის გარკვეულ სტაბილიზაციას და სწორედ ამას ეხება სსრ კავშირის პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებაც.

მასში ნათქვამია, რომ სახელმწიფო საწარმოებმა, გაერთიანებებმა და ორგანიზაციებმა, უწყებრივი და ტერიტორიული დაქვემდებარების მიუხედავად, 1990 წლის მეოთხე კვარტალში და 1991 წელს უნდა უზრუნველყონ შექმნილი სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის შენარჩუნება და ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწილების მიწოდებაზე სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება. მოკავშირე რესპუბლიკებს და ცალკეულ რეგიონებს შორის შეთანხმებებმა ხელი უნდა შეუწყონ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში კავშირურთიერთობის განვითარება-განმტკიცებას.

დამყარებული სამეურნეო კავშირურთიერთობის შესაბამისად ხელშეკრულებათა დადებაზე უარის თქმისათვის მომხმარებლის წინაშე დაწესებული პასუხისმგებლობის გარდა მიმწოდებელი გადაიხდის ჯარიმას ადგილობრივ ბიუჯეტში შესასრულებლად უარყოფილი შეკვეთის ღირებულების დაახლოებით 50 პროცენტის ოდენობით.

საგანგებო სიტუაციის გამო საჭიროდ არის მიჩნეული, რომ არა მარტო საწარმოთა ხელმძღვანელებმა, არამედ შრომითმა კოლექტივებმაც უშუალო სამუშაო კონტროლი დაუწესონ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების პროცესს და უწყებრივ არეულობას, კუთხურობას და ჯგუფურ ინტერესებს დაუპირისპირონ ორგანიზებულობა, გერგილიანობა, მთელი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული რეჟიმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის საჭიროა სტაბილიზაციის მკაცრი ზომების მიღება. ეს, უწინარეს ყოვლისა, სამომხმარებლო ბაზრის, სამეურნეო კავშირების სისტემისა და საფინანსო სფეროს ნორმალიზაციის გულისხმობს.

ბაზრის საქონლით უზრუნველყოფა, მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება მოხსნის სოციალური დაუკმაყოფილებლობის საკითხს, გარდა ამისა, შეცვლის ადამიანთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას, გააძლიერებს მათ პასუხისმგებლობას საქმისადმი.

სამომხმარებლო ბაზრის ნორმალიზაცია არ არის იოლი საქმე, მაგრამ სხვანაირად რაიმე პროგრესზე ლაპარაკი შეუძლებელია. მის მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის რვა თვეში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობას მიეწოდა თითქმის ოცდათორმეტი პროცენტით ნაკლები ბოსტნეული, ორმოცდათხუთმეტი პროცენტით ნაკლები ძეხვეული. ძალიან ჩამორჩება შარშანდელ დონეს საბაზრო ფონდისათვის მიწოდებული ხორცის, ყველის, კონსერვებისა და მრავალი სხვა სახეობის სასურსათო საქონლის რაოდენობა. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა არასასურსათო საქონლით ბაზრის უზრუნველყოფის მხრივაც. ვერ ართმევს თავს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებებს ათობით საწარმო, უწყება, სხვა ორგანიზაცია, მათ შორის ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირი.

ჩვენ ვიცით, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს უჭირს ნედლეული და, მაშასადამე, პროდუქციის გამოშვების დავალების შესრულება და მიწოდების სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა. ეს მართალია, მაგრამ სწორია ისიც, რომ ასეთი რთული სიტუაციიდან გამოსვლის შედარებით შემსუბუქების გზებს დარგი მაინც პოულობს. აწარმოებს საქონელს, რომლის რეალიზაციაც ზოგიერთი სახეობის საქონლის საცალო ფასების გაძვირებით ხდება. რვა თვეში გეგმის გადამეტებით მილიონობით მანეთის ასეთი სახეობის პროდუქცია დამზადდა. როგორც ვხედავთ, გეგმა გადაჭარბებით სრულდება არა ნატურალური, არამედ ფულადი გამოხატულებით. სახელშეკრულებო ფასებით პროდუქციის რეალიზაცია, ალბათ, ნებადართულია, მაგრამ ამ გზით დავალებების შესრულება დახლებს ვერაფერს შემატებს. შეავსებს კი არა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მსუბუქმა მრეწველობამ ტრიკოტაჟის ნაწარმი 29,5 მილიონი მანეთით, ხოლო ბამბის, შალის, აბრეშუმის და სელის ქსოვილები 17,8 პროცენტით ნაკლები გამოუშვა.

საქმე ის არის, რომ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის საერთო მოცულობა საკოლმეურნეო ბაზრებზეც საგრძნობლად შემცირდა — თითქმის თერთმეტ პროცენტამდე. სამაგიეროდ ფასებმა თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და სოხუმში საშუალოდ 22,3 პროცენტით მოიმატა. მოსახლეობამ რვა თვეში გადაიხადა 46,3 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე დახარჯავდა შარშან ამავე პერიოდში. ეს საშუალოდ, თორემ თბილისში, კერძოდ, ფასები 38 პროცენტზე მეტად გაიზარდა. აგვისტოში, მაგალითად, შარშანდელ ამავე თვესთან შედარებით, ლობიო ორჯერ, ყურძენი თითქმის 95 პროცენტით, პამიდორი 92 პროცენტით, ცხვრის ხორცი 43 პროცენტით გაძვირდა.

როგორც პრეზიდენტის ბრძანებულებიდან გამომდინარეობს, ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის საჭირო ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პირობაა სამეურნეო კავშირების სისტემის ნორმალიზაცია. ამ მხრივ უკვე რამდენიმე წელიწადია, მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება. ადვილი წარმოსადგენია როგორ აირ-დაირია ყველაფერი, თუ მრეწველობის ოცდათორმეტ პროცენტზე მეტი ვერ იცავს მიწოდების სახელშეკრულებო დისციპლინას და შემკვეთს რვა თვეში 332 მილიონი მანეთის პროდუქციას აკლებს.

ჩვენ ადრე უკვე დავასახელეთ ის სამინისტროები, უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებები, ცალკეული საწარმოები, რომლებიც დავალიანებულნი არიან მომხმარებლების წინაშე და ამიტომ დღეს მათ აღარ ჩამოვთვლით. ახლა საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ დაკარგული კავშირების აღდგენისა და არსებული ეკონომიკური ურთიერთობის შენარჩუნებისათვის. წლის დამლევამდე სამ თვეზე ნაკლები რჩება და ძვირფასია ყოველი დღე, საათი.

ჩვენ ვიცით, რომ სამრეწველო საწარმოთა და სხვა ორგანიზაციების აბსოლუტურად დიდ ნაწილს ჯერ არ გამოუნახავთ მომიჯნავეები და ამას შეიძლება ბევრი უსიამოვნება მოჰყვეს. მოთხოვნები, როგორც უკვე ყველა მეურნემ იცის, მეტად მკაცრი და პრინციპულია. ლაპარაკია საწარმოების ნედლეულით, მასალებით უზრუნველყოფაზე და რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანთა დასაქმებაზე. ის, ვინც ვერ გამოძებნის პარტნიორს, ვერ გამონახავს შემკვეთს, უმუშევრობის საფრთხეს შეიქმნის, და ეს რასაც ნიშნავს, კარგად არის ცნობილი. აუცილებელია, რომ გაისად არა მარტო შევინარჩუნოთ მიწოდების წლევანდელი დონე, არამედ ავამაღლოთ კიდეც იგი. ცენტრის იმედად დარჩენა აღარ შეიძლება. მართალია, სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად გამოიყოფა საჭირო მოცულობის ნედლეული, მაგრამ ყოველთვის ასე აღარ იქნება. საბაზრო ეკონომიკას თავისი [illegible]ბელი კანონები აქვს, მოუქნელობასა და დაყოვნებას ვერ იტანს.

ვიცით ისიც, რომ არ არის ადვილი არსებულ სიტუაციაში გარკვევა. ბევრი საკითხი გადაწყვეტას მოითხოვს და თანაც — მოკლე ხანში. ეს ეხება ფასწარმოქმნას, პარტნიორების მიერ წამოყენებულ ულტიმატურ მოთხოვნებს, ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებელი ნაწილების სანაცვლოდ პროდუქტებისა და ალკოჰოლიანი სასმელების შეძენას, სხვა საკითხებს. ასეა თუ ისე, ყველაფერი თითოეული დარგის, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელების, სპეციალისტების, კოლექტივების მოსაგვარებელია, თუ გვინდა ვიცხოვროთ დამოუკიდებლად, უნდა ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ დამოუკიდებლად. ძალების მაქსიმალური დაძაბვით ვიმოქმედოთ იმისათვის, რომ ნედლეულისა და მასალების უქონლობის, საერთოდ, ცუდი მომარაგების გამო არც ერთმა გაერთიანებამ, საწარმომ, ფაბრიკამ, კომბინატმა არ შეწყვიტოს მუშაობა.

ეკონომიკის შედარებითი სტაბილიზაციაც, თავისთავად ცხადია, შრომის დისციპლინის განმტკიცებას გულისხმობს. წარმოუდგენელი განუკითხაობის ატმოსფერო სუფევს მრავალ სამრეწველო საწარმოსა და სხვა ორგანიზაციაში. ბევრმა სრულიად დაკარგა საქმისადმი, მოვალეობისადმი მოქალაქეობრივი მიდგომის შეგრძნება. სხვათა შორის, ვისაც მართლა სურს იხილოს დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო, როგორც წინა წლებში, ახლაც მთელი მონდომებით შრომობს, კეთილსინდისიერად იქცევა, ბევრი კი თვითნებობს, სრულიად უვარგისად შესრულებულ სამუშაოს გვამადლის და როცა მოეპრიანება, მაშინ მიდის სამსახურიდან. სწორედ ამის შედეგია ის ფაქტი, რომ სამუშაო დროის დანაკარგებმა მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შეადგინა 442,51 ათასი კაცდღე, რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს ერთ-ნახევარჯერ აღემატება. განსაკუთრებით დიდია ეს დანაკარგები საავტომობილო ტრანსპორტზე. ზიანი მიაყენა ეკონომიკას გაფიცვებმაც. ამ მიზეზით რვა თვეში დანაკარგებმა 187,7 ათასი კაცდღე შეადგინა, რის გამოც 10,6 მილიონი მანეთის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობაა გაშვებული ხელიდან.

ძალიან უარყოფითად მოქმედებს ადამიანებზე, შრომის ნაყოფიერებაზე საზოგადოებაში შექმნილი განუკითხაობის ატმოსფერო. რა შრომის ნაყოფიერებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სამუშაოზე წასული კაცი იმაზე ფიქრობს, სახლი არ დამხვდეს გაძარცულიო. ადვილი წარმოსადგენია საერთო ფსიქოლოგიური განწყობილება, თუ ძარცვისა და ყაჩაღური თავდასხმების შემთხვევები, შესაბამისად, 1,7-ჯერ და 2-ჯერ, ხოლო საზოგადოებრივი ქონების ქურდობასთან დაკავშირებული დანაშაულობანი 2,3-ჯერ გაიზარდა. არნახულად მოიმატა მკვლელობისა და მისი მცდელობის, გაუპატიურების შემთხვევებმაც.

ერთხელ კიდევ გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამომხმარებლო ბაზრის ნორმალიზაციას, სხვანაირად საქმე გაჭირდება.

გავიმეოროთ ისიც, რომ აუცილებელია შევინარჩუნოთ სამეურნეო კავშირები როგორც მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, ისე გაისად. არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ მათი რღვევა. გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება შეწყდეს ფოლადის გამოდნობა და პურის ცხობა, მატარებლებისა და სხვა სახეობის ტრანსპორტის მოძრაობა. ერთი სიტყვით, არ შეიძლება ეკონომიკური ცხოვრების ერთი წუთით შეჩერება. წინ ჩვენთვის უცნობი, საბაზრო ურთიერთობის გზით სიარული გველის. ძირითადად ყველაფერი ჩვენს საზრიანობაზე, გამბედაობაზე, საქმისადმი მიდგომაზეა დამოკიდებული.

**შოთა ამაშუკელი.**

## დავამყაროთ ხელსაყრელი კავშირები

# პარლამენტი ყველაფრისათვის პასუხს აგებს

## საკდესის საპარლამენტო კორესპონდენტი გვატყობინებს:

**საგარეო** საქმეთა მინისტრის ანგარიშები სულაც არ არის სიახლე საკავშირო პარლამენტის პრაქტიკაში. ერთი შეხედვით, ტრადიციული გახდა ისეთი მოსმენების პროცედურა და დადგენილებათა ფორმულები, როგორიცაა „ცნობად იქნეს მიღებული, მოწონებულ იქნეს, დაევალოს, განაგრძოს..". 15 ოქტომბერს ჩვეულებრივი სქემა შეიცვალა — ამ დღეს ჩვენი სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური გეზი არსებითად პირველად გახდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი პლენარული სხდომის ყოველმხრივი, დეტალური, ზოგჯერ კი კრიტიკული განხილვის საგანი. თითქმის ორ საათამდე დაჰყო ტრიბუნაზე ე. ა. შევარდნაძემ. თუ მინისტრისათვის გაგზავნილი შეკითხვების სიმრავლით ვიმსჯელებთ, ყველა დეპუტატმა როდი მიიჩნია ამომწურავად მისი თითქმის ერთსაათიანი მოხსენება „საერთაშორისო ცხოვრების მომენტისა და ქვეყნის ინტერესებისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობის შესახებ".

უწინარეს ყოვლისა, ითხოვეს, უფრო დაწვრილებით განემარტათ საგარეო-პოლიტიკური უწყების პოზიცია სპარსეთის ყურეში შექმნილი კრიზისის, გერმანიის გაერთიანების, საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი დიალოგის მიმართ.

უპასუხა რა ერთ-ერთ კითხვას, მინისტრმა, კერძოდ, აღიარა, რომ რეალური პრობლემა, რომელიც უკავშირდება ჩვენი მეგობრების მდგომარეობას ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში" — არა მარტო სამხედროებს, არამედ პარტიულ ფუნქციონერებს, დიპლომატებსა და სხვებს. „ჩვენ, — თქვა მან ამასთან დაკავშირებით, — გვაქვს მორალური უფლება დავსვათ ეს საკითხები და დაისვა კიდეც, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბრებში. სამართლებრივი თვალსაზრისით გერმანია ახლა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სუვერენული სახელმწიფოა და ყველა საშინაო საკითხი, რომლებიც მის მოქალაქეებს ეხება, წყდება კონსტიტუციის ბაზაზე, რომლითაც ეს ქვეყანა ხელმძღვანელობს".

როგორ ეკიდება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო პრესის ცნობებს, რომ საბჭოთა კავშირმა შეიძლება ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰყიდოს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ელემენტებისათვის საჭირო ატომური რეაქტორები? არაფერი მსმენია რაიმე ამგვარი გარიგების თაობაზე, უპასუხა ე. ა. შევარდნაძემ. ასეთი რამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, არ ყოფილა. ჩვენი პრინციპული დამოკიდებულება სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პრობლემისადმი ცნობილია. როგორც მინისტრმა თქვა, სტრატეგიული შეტევითი იარაღის ორმოცდაათი პროცენტით შემცირების შესახებ ხელშეკრულებაში, რომელიც მზადდება, ჩვენმა მხარემ გაითვალისწინა სპეციალური ფორმულა. ამის საფუძველზე საბჭოთა კავშირს ენიჭება ამ დოკუმენტის დენონსირების უფლება, თუ ამერიკის შეერთებული შტატები დაარღვევს ხელშეკრულებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის თაობაზე.

უპასუხა რა კითხვას, ჩამოეყალიბებინა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია საბჭოთა კავშირის მიერ იაპონიისათვის კურილის ოთხი პატარა კუნძულის გადაცემის საკითხზე, ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა: ამისათვის არც სამართლებრივი, არც ისტორიული საფუძვლები არ არსებობს. წარმოებს მოლაპარაკება, თქვა მან, სსრ კავშირსა და იაპონიას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების, მათ შორის საზღვრის გატარების საკითხზე. რაც შეეხება ამ კუნძულებს, მათი გადაცემის საკითხი არ დგას. ჩვენ ასეთ ვარიანტს არ ვიხილავთ.

საგარეო საქმეთა მინისტრს ამ დღეს ერთხელ კიდევ მოუწია მიკროფონთან მისვლა. მის საბოლოო სიტყვას წინ უძღოდა ემოციური, მწვავე დისკუსია, რომელიც მას შემდეგ დაიწყო, რაც სესიის მონაწილეებმა უარყვეს რამდენიმე დეპუტატის წინადადება, არ გაემართათ კამათი.

ღირს თუ არა კვლავაც ვუერთგულოთ ქვეყნის ახლანდელ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ახალი პოლიტიკური აზროვნების კონცეფციას? დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობის პასუხს ამ, კაცმა რომ თქვას, რიტორიკულ კითხვაზე, მნიშვნელოვანწილად მოწმობს ერთსულოვანი ტაში, რომლითაც დარბაზი გამოეხმაურა თავმჯდომარის ცნობას, რომ მ. ს. გორბაჩოვს მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია. ამასობაში ამ დღეს დისკუსიაში გამოსულმა ზოგიერთმა ორატორმა არსებითად საეჭვო გახადა საერთაშორისო საქმეებში ქვეყნის ხელმძღვანელობის გეზის განგრძობის მიზანშეწონილობა.

მაგალითად, დეპუტატ ნ. ს. პეტრუშენკოს აზრით, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკური ინტერესები ახლა „უზრუნველყოფილია უსაფუძვლო ცალმხრივ დათმობათა გზით". ორატორის მიერ მოყვანილი მაგალითები: სსრ კავშირის მილიარდიანი ხარჯები ჩეხოსლოვაკიიდან და უნგრეთიდან ჯარების გამოყვანისათვის, „კრასნოიარსკის რადიოსალოკაციო სადგურის დაკარგვა". სსრ კავშირის მონაწილეობას ერაყის წინააღმდეგ სამხედრო აქციებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში, მისი აზრით, მოჰყვება ურთიერთობის გაუარესება არა მარტო ამ ქვეყანასთან, არამედ მთელ რიგ არაბულ და მუსლიმანურ სახელმწიფოებთანაც. ორატორმა დაიჩივლა იმის გამო, რომ „არმიის პოლიტმუშაკები ფეხს ვერ უწყობენ საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ შეხედულებათა ხელახალ პროფილირებას". ამასთან მან დაიმოწმა ერაყის მაგალითი, რომელზეც „დიდხანს ვამბობდით, ჩვენი მეგობარიაო".

ნაკლებ კატეგორიულად, მაგრამ საერთოდ ნეგატიურად განსაზღვრეს ოფიციალური საბჭოთა საგარეო-პოლიტიკური გეზი გერმანიის გაერთიანების საკითხში დეპუტატებმა ე. ვ. კოგანმა და ვ. ი. ალქსნისმა. ისინი, კერძოდ, ყურადღებას მოაპყრობდნენ 1937 წლის რაიხის საზღვრების აღდგენის შესახებ გერმანელ რევანშისტთა მოწოდების საფრთხის შეუფასებლობას. გამოთქმული თვალსაზრისი, ხაზგასმით აღნიშნა დეპუტატმა ე. უ. კიმმა, არ გახლავთ „სოიუზის" დეპუტატთა ჯგუფის შეთანხმებული თვალსაზრისი.

საერთაშორისო საქმეებში სსრ კავშირის ახლანდელი სტრატეგია დაიცვეს დეპუტატებმა გ. ა. ბოროვიკმა, ე. პ. ველიხოვმა და ო. სულეიმანოვმა. თუ დღეს ხალხი მხარს უჭერს კიდეც ვინმეს მთავრობაში, განაცხადა დეპუტატმა გ. ვ. სტაროვოიტოვამ, ეს არის სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტრო, მისი გეზი.

გამართული განხილვის საერთო შეფასება: შექმნილია მნიშვნელოვანი პრეცედენტი. დისკუსიამ გვიჩვენა, უზენაეს საბჭოს შეუძლია არა მარტო ცნობად მიიღოს უკვე დამტკიცებული გადაწყვეტილებანი, არამედ იმის უნარიც შესწევს, იკისროს პასუხისმგებლობა. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა არცთუ ცოტა კონკრეტული წინადადებანი იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს უკეთ თანამოქმედება პარლამენტსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის, როგორ უზრუნველყონ დეპუტატთა სრული ინფორმირებულობა იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებსაც დგამს ან გეგმავს სამინისტრო.

პარლამენტმა საფუძვლად მიიღო დადგენილება განხილულ საკითხზე. იგი დაიხვეწება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტში.

ნაშუადღევს დეპუტატებმა პირველი წაკითხვით მიიღეს კანონპროექტი „სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ" პარლამენტის მიერ წინათ მიღებულ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე. მასში შემოღებულია ნორმა დაბალი დონეების საბჭოებისათვის სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოების იმ გადაწყვეტილებათა სავალდებულობის შესახებ, რომლებიც მიღებულია მათი კომპეტენციის ფარგლებში.

როგორც განმარტა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხთა, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. დ. პივოვაროვმა, კანონის ასეთი კორექტირების შესახებ წინადადება შემოვიდა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსაგან „ეკონომიკური რეფორმის გატარების პერიოდში სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და აღმასრულებელი ორგანოების ურთიერთობის შესახებ" მის მიერ 10 ოქტომბერს რესპუბლიკური კანონის მიღებასთან დაკავშირებით.

ნ. დ. პივოვაროვის თქმით, „ახალი რედაქცია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება კანონის კონცეფციას, იგი მხოლოდ უფრო ზუსტსა და კონკრეტულს ხდის მას".

შემდეგ განიხილეს სსრ კავშირის პრეზიდენტის წარდგინება, რომელმაც მხარი დაუჭირა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. ი. სუხარევის თხოვნას თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია სხდომათა დარბაზში. მრავალი პარლამენტარი აღნიშნავდა მთლიანად სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებულ მძიმე მდგომარეობას. ბოლოს დეპუტატებმა გადაწყვიტეს დაეკმაყოფილებინათ ა. ი. სუხარევის თხოვნა. საბოლოო გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის პრეროგატივაა. პარლამენტის რეზოლუცია შეიცავს დავალებას მისი მთელი რიგი მუდმივი კომიტეტებისათვის „განიხილონ ქვეყანაში სამართლებრივი სიტუაციის შეფასების საკითხი და შეიტანონ ამ საკითხზე წინადადებანი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში".

მომდევნო სამ დღეში პარლამენტის კომიტეტები და კომისიები განიხილავენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობის სტაბილიზაციის პრობლემას, ხოლო პარასკევს, როგორც ა. ი. ლუკიანოვმა განაცხადა, ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე გათვალისწინებულია მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა ამ საკითხის გამო.

**ვ. შიშლინი.**

## ალოობის ქრონიკა

**რესპუბლიკაში** გრძელდება რთველი. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული მონაცემებით, კახეთში მოკრეფილი და ქარხანამუშავებლად ჩაბარებულია 268.912 ტონა ყურძენი. ეს გეგმის 80 პროცენტზე ოდნავ მეტია. სულ კი ამ რეგიონში საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უნდა დაამზადონ სულ ცოტა 368.180 ტონა ყურძენი.

მთლიანად რესპუბლიკაში 15 ოქტომბრისათვის მიმღებ პუნქტებში მიტანილია 310.768 ტონა ყურძენი, როცა დავალება 489.400 ტონას ითვალისწინებს. გეგმა რეალიზებულია 63,5 პროცენტით.

რაც შეეხება დღიურ კრეფას, 2.470 ტონა შეადგინა, შარშან ამავე დროისათვის ყურძნის დღიური კრეფა 1000 ტონას არ აღემატებოდა.

რთველი თანდათანობით დასავლეთისკენ მიიწევს თუ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში უკვე მცირდება მოხავლის კრეფის მოცულობა, დასავლეთის რაიონებში მატულობს. სულ დასავლეთ საქართველოში უნდა დამზადდეს 79.900 ტონა ყურძენი.

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

### თბილისის „დინამოს" სტადიონისათვის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სახელის მიკუთვნების შესახებ

**საქართველოს** სსრ მინისტრთა საბჭომ დააკმაყოფილა საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და „დინამოს" სტადიონის სპორტკომპლექსის კოლექტივის შუამდგომლობა და დაადგინა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის „დინამოს" სტადიონს ეწოდოს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. (საქინფორმი).

# წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების პროგრამებს

## სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის წინასაარჩევნო პროგრამა

[illegible]

როგორც გამოძიებაში, ასევე სასამართლოში, როგორც წესი, ადვოკატი დაშვებული უნდა იქნეს მთელი გამოძიების პროცესში, შექმნის ეროვნულ სამართალდამცველ ორგანოებს.

— შემოიღებს არა მარტო თანამდებობის პირების, არამედ სახელმწიფო და პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებების და მოქმედებების სასამართლოში გასაჩივრებას; გახსნის შინსახკომისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივებს, გამოაქვეყნებს სრულ ცნობებს ბოლშევიზმის დანაშაულთა და ყველა გაუმართლებელი რეპრესიის შესახებ.

— აკრძალავს ქალთა პატიმრობას, გარდა უმძიმესი დანაშაულის შემთხვევებისა, განახორციელებს დაპატიმრების ადგილთა ჰუმანიზაციას, უზრუნველყოფს საპატიმროებში მყოფთა პირობების გაუმჯობესებას, გააუქმებს სიკვდილით დასჯას;

— მშვიდობიანი გზით აღადგენს ანექსიის პერიოდში დაკარგულ საქართველოს საზღვრებს და განუხრელად შეინარჩუნებს ტერიტორიულ მთლიანობას.

— ყველა ღონეს იხმარს, რათა საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შევიდეს სრულუფლებიანი ქვეყნის სტატუსით.

### ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზები

— ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას განახორციელებს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების საფუძველზე და იმ აუცილებელი პირობით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრის ერთადერთი ბატონპატრონი და განმგებელია ქართველი ერი.

— შექმნის სტრატეგიულ კვლევის ცენტრს, რომელიც შეიმუშავებს საქართველოს — როგორც სახელმწიფოს განვითარების ყოვლისმომცველ მოდელს (პროექტს) ურთიერთგადაჯაჭვული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გათვალისწინებით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ხანმოკლე და ხანგრძლივი პროგნოზირება. ასეთი მიდგომა განსაზღვრავს იმ უმთავრეს მიმართულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირებას და ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური პირობების ეტაპობრივ სრულყოფას.

— დააარსებს საინფორმაციო ბანკს (ადგილობრივი და საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე), რომლის მეშვეობითაც განხორციელდება განმრავლებადი, ნომენკლატურულად მდიდარი, მარკეტინგულად ხელსაყრელი ეფექტიანი პროდუქციის წარმოება და გასაღება.

— საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან უპირატესობას ანიჭებს კერძო საკუთრებას და თავისუფალ შრომას, ვინაიდან დამოუკიდებელი მოქალაქე არ შეიძლება არსებობდეს კერძო საკუთრების გარეშე.

— საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით განავითარებს წარმოების ისეთ ფორმებს (კერძო მეურნეობებსა და საწარმოებს, კონცერნებს, სააქციო საზოგადოებებსა და ა. შ.), რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენციისუნარიანი პროდუქციის შექმნას.

— საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საკავშირო დაქვემდებარების ყველა სახის ობიექტებს გამოაცხადებს ერის საკუთრებად, არ დაუშვებს სხვა რომელიმე სახელმწიფოს მონოპოლიას ადგილობრივ, ბუნებრივ და შრომით რესურსებზე. მინიმუმამდე შეამცირებს სამინისტროების, სხვა მმართველი ორგანოებისა და მათდამი დაქვემდებარებული რგოლების რაოდენობას.

— აღმოფხვრის სახალხო მეურნეობის ექსტენსიური განვითარების პრაქტიკას, გადასინჯავს და პროფილს შეუცვლის მსხვილ წამგებიან სამრეწველო ობიექტებს, რათა მოკლე დროში დაკმაყოფილდეს საქართველოს მოთხოვნა ერის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნაწარმზე, მათ შორის მცირეგაბარიტიან სამთო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე.

— იზრუნებს ეფექტიანი, ენერგოდამზოგი და ეკონომიკური ტექნოლოგიური პროცესების, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ა. შ. შემუშავებისა და დანერგვისათვის.

— შეიმუშავებს სრულყოფილ საზღვაო პროგრამას, რათა უმოკლეს ხანში აღდგეს საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის სტატუსი.

— დააზუსტებს ამჟამად არსებულ სალდოს (რესპუბლიკის ფულის შემოსავალ-გასავალს) და საქართველოს ეკონომიკას წარმართავს ისე, რომ მომავალში იგი (სალდო) იყოს დადებითი.

— დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე საქართველო დროებით შეწყვეტს მონაწილეობას კოსმოსის ათვისებასა და სხვა ძვირადღირებულ პროგრამების წილობრივ დაფინანსებაში. დაიტოვებს იმ ვალუტას, რომელიც შემოდის რესპუბლიკაში და დაიზოგება მის სახალხო მეურნეობაში.

— შემოიღებს ეროვნული ფულის კურსს, იზრუნებს, რათა იგი გახდეს კონვერტირებადი, შექმნის სათანადო საბანკო სისტემას.

— ხელს შეუწყობს კავკასიის ხალხთა აგრარულ-მეურნეობრივი დაახლოება-განვითარების ერთობლივი პროგრამებისა და სტრატეგიის შემუშავებას.

### მიწის რეფორმა

— საქართველო იყო და დარჩება მიწათმოქმედების ქვეყნად, ამიტომ სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი პირველ რიგში განახორციელებს მიწის რეფორმას, რაც უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობის ეფექტიან მართვა-გამგეობასა და ქვეყნის სიძლიერეს.

— მიწის კერძო საკუთრების ფორმებზე გადასვლის კონკრეტული გზების, ვადების და საერთო მეთოდიკური, ეკონომიკური თუ ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის პარალელურად შეიმუშავებს მიწის კოდექსის პროექტს და პირდაპირი მოქმედების სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც დაარეგულირებს მიწის გადაცემის, ყიდვა-გაყიდვის, მიწის კადასტრის, მონიტორინგისა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

— სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირმა შეიმუშავა მიწის კერძო საკუთრებაზე გადასვლის კანონმდებლობის საფუძვლები, რომელსაც სათანადო სააღსრულებლო მექანიზმის შექმნის შემდეგ, მიწის სრულყოფილი ინვენტარიზაციის შედეგებისა და ცალკეული სოფლებისა და რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით განსახილველად გაიტანს უზენაესი საბჭოს უახლოეს სესიაზე.

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნებაყოფლობითი გარდაქმნის გზით განახორციელებს კერძომესაკუთრულ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობაზე გადასვლას.

— გლეხს მიეცემა კრედიტი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და მიწათმოქმედებისათვის საჭირო სხვა საშუალებები, ექნება მოწეული ჭირნახულის ნებისმიერ ბაზარზე შეუზღუდველად გატანის უფლება.

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმგებლობაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება გლეხკაცს გადაეცემა კერძო საკუთრებაში.

— დააწესებს უმკაცრესი კონტროლი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, უახლესი აგროტექნიკური მიღწევების (თესლბრუნვა, სელექცია და სხვა) დანერგვას და ა. შ., რაც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდას.

— დაუშვებს ეკლესიის საკუთრებას მიწაზე.

— ცნობს მოაგარაკეთა და მებაღეთა კერძო საკუთრებას ამჟამად მათთვის გამოყოფილ და ათვისებულ მიწის ნაკვეთებზე. ახალი საავარაკო ნაკვეთების გამოყოფა მიზანშეწონილია მოხდეს მხოლოდ ნასოფლარ ტერიტორიებზე ან ისეთ ფართობებზე, რომელთა ათვისება ზიანს არ მიაყენებს უახლოესი სოფლის მკვიდრ მოსახლეობას.

— იზრუნებს სოფლად მცხოვრებ და ქალაქიდან სოფელში დაბრუნებულ მუშა-მოსამსახურეებისათვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადასაცემად, რომელთა სიდიდე უნდა განისაზღვრებოდეს ადგილობრივი მიწის ფონდის გათვალისწინებით.

— სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის წევრთა ინტერესებიდან გამომდინარე, დააარსებს მიწათმოქმედთა ბანკს, გამოუშვებს აქციებსა და ფასიან ქაღალდებს.

### ბუნებათსარგებლობა და ეკოლოგია

— სასწრაფოდ შეიმუშავებს ბუნებათსარგებლობის ახალ ეკონომიკურ მექანიზმს და სათანადო კანონმდებლობას კერძო საკუთრების პრინციპების გათვალისწინებით. აღნიშნული მექანიზმის გარეშე საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას შეიძლება კატასტროფული შედეგებიც მოჰყვეს.

— შექმნის ბუნებათსარგებლობის სტრატეგიულ კვლევის ცენტრს.

— მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური მექანიზმის საფუძველზე შექმნის გარემოს დაცვისა და გაჯანსაღების ადგილობრივი, რესპუბლიკური და სამართლებრივი მართვის კომპლექსურ კანონ-პროექტებს.

— ბუნებათსარგებლობის საქმიანობის სრულყოფისა და კოორდინაციის მიზნით საქართველოს განვითარების ყოვლისმომცველი მოდელიდან (პროექტიდან) გამომდინარე, ახლო მომავლისათვის შეიმუშავებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კონცეფციას, სათანადო პროგრამებით, საკუთრების ახალ ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით.

— რეალური ეკოლოგიური ვითარების დასაზუსტებლად შექმნის სრულყოფილ დაკვირვების, შეფასების და პროგნოზირების ქსელსა და ეკოლოგიური ინფორმაციის ბანკს, სისტემატურად გამოაქვეყნებს უტყუარ ინფორმაციას შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ავტომატიზებული სისტემით გადასცემს საჭირო ინფორმაციას მომხმარებლებს სოფლის მეურნეობის მოქნილი და ეფექტური მართვისათვის.

— დაუყოვნებლივ გაატარებს სათანადო ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის იმ ობიექტების მოსაწესრიგებლად, რომლებიც აბინძურებენ გარემოს, მათი დახურვის ხარჯზეც კი; დანერგავს დასახლებული ადგილებიდან საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების გატანის, გადამუშავების და გამოყენების თანამედროვე მეთოდებს.

— შეიმუშავებს და დანერგავს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, პესტიციდებისაგან მცენარეული პროდუქციის დაცვის, ეროზიის, მეწყრის, ღვარცოფისა და ჩამონაზვავების თავიდან აცილების, დარღვეული მიწების რეკულტივაციის, დამლაშობებული და დაბინძურებული მიწების გაჯანსაღება-აღდგენის ეფექტიან ხერხებს.

— განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემების: შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურების თუ პლაჟების ზღვისგან მიტაცების, კოლხეთის დაბლობის ათვისების, დიდი წყალსაცავების მოწყობა-ექსპლუატაციისა და სხვა საკითხების სასწრაფო მოგვარებას.

— არ დაუშვებს წიაღისეულის ღია წესით დამუშავებას, უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში რესურსდამზოგავი, მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების დანერგვას.

— არსებული ნაკრძალების, აღკვეთილებისა და ბუნების დაცვის სხვა ფორმების გაუმჯობესების მიზნით გადასინჯავს მათ სტატუსს. შექმნის ბიოსფერულ ნაკრძალებს არაგვის, ენგურის, რიონის, ბზიფისა და სხვა ხეობებში.

— კომპლექსური ექსპერტიზის გარეშე არ დაუშვებს იმ ობიექტების მშენებლობასა და ექსპლუატაციას, რომლებიც მავნე გავლენას ახდენენ გარემოზე.

### საზოგადოების ჰარმონიული განვითარება

— დაიცავს მოსახლეობის და განსაკუთრებით მიწათმოქმედთა ინტერესებს პირად შემოსავალზე, მოხსნის ყოველგვარ შეზღუდვებს, გარდა კანონით დაწესებული გადასახადებისა, რისთვისაც შეიმუშავებს სათანადო კანონპროექტებს.

— საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მოსალოდნელ უმუშევრობასთან დაკავშირებით შექმნის დახმარების ფონდს და იბრძოლებს უმუშევრობის ეტაპობრივი აღმოფხვრისათვის.

— არ დაუშვებს სოციალურ შეღავათებსა და პრივილეგიებს ნებისმიერი თანამდებობის პირების მიმართ.

— გეგმაზომიერად განავითარებს რეკრეაციასა და ტურიზმს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე იმ ვარაუდით, რომ არ შეილახოს ქართველი ერის ტრადიციები და თავმოყვარეობა, არ დაზიანდეს ბუნება და სხვა.

— შეიმუშავებს კანონ პროექტებს, რომლის ძალითაც, საკუთარ მეურნეობაში შრომა ჩაითვლება სამუშაო სტაჟად, რაც დადასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით.

— ძირეულად გააუმჯობესებს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი პენსიონერების, ინვალიდების, მარტოხელა მოხუცებისა და დედების, მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ პირობებს. მინიმუმამდე დაიყვანს ქალთა ფიზიკურ შრომას.

— სამედიცინო მომსახურების საფუძვლიანად გაუმჯობესების მიზნით ფასიან მკურნალობასთან ერთად შემოიღებს საყოველთაო სადაზღვევო სისტემას, მედიცინის ყველა დარგის თანაბარი განვითარების ფონზე უპირატესობას მიანიჭებს დედათა და ბავშვთა დაცვის ორგანიზაციას. აბორტების აკრძალვის (იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც მშობიარობა საშიშროებას უქმნის დედის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს) გზით ხელს შეუწყობს შობადობის ზრდას. შექმნის მოსახლეობის ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მძლავრ სამსახურს.

— განავითარებს ფუნდამენტურ მეცნიერებას, განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს პოლიტოლოგიის, იურისპრუდენციის, ეკონომიკის, სოციოლოგიისა და სოფლის მეურნეობის დარგებს, რისთვისაც ძირეულად გარდაქმნის ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადებას მოწინავე ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებში მივლინებით.

— მოახდენს სახალხო განათლების სისტემის ძირფესვიან გარდაქმნას. უარყოფს საყოველთაო-სავალდებულო საშუალო სწავლების სისტემას, ხელს შეუწყობს ნებისმიერ დონეზე კერძო (ფასიანი) და საქველმოქმედო სკოლების დაარსებას;

— მოითხოვს სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასოფლო-სამეურნეო სწავლების დანერგვას და გაძლიერებას, ხოლო ზოგიერთ რაიონში სრული საშუალო სკოლების ბაზაზე აღადგენს ან ჩამოაყალიბებს სასოფლო-სამეურნეო პროფილის ისეთ სასწავლებლებს, რომლებიც გლეხური (ფერმერული) მეურნეობებისათვის მოამზადებენ ახალგაზრდებს ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო დარგებში სამუშაოდ.

— განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სასოფლო-სამეურნეო პროფილის უმაღლესი სკოლების გარდაქმნას. განახორციელებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესების იმგვარ შერწყმას, რომ უზრუნველყოს სწავლების და კვლევის ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი გაზრდა; საგანგებოდ იზრუნებს უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის, რისთვისაც ფართოდ გამოიყენებს მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, განახორციელებს უმაღლესი სკოლების სრულ ავტონომიზაციას.

— თვლის, რომ ბიუროკრატიული მმართველობის წიაღში აღმოცენებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და სსრკ სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი, რომელიც თბილისში მდებარეობს, აღარ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს და საჭიროებს სრულ რეორგანიზაციას.

— შექმნის პირობებს ეროვნული ინტელექტუალური შესაძლებლობების და ეროვნული კადრების საქართველოს ფარგლებში ეფექტიანი გამოყენებისათვის, იბრძოლებს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო კერების თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვისათვის.

— ხელს შეუწყობს ეროვნული კულტურის თავისთავად განვითარებას, განსაკუთრებით სოფლად და მისი კავშირურთიერთობების გაღრმავებას ცივილიზებულ სამყაროსთან. ეროვნული კულტურის ყველა დარგს (მწერლობა, სახვითი ხელოვნება, კინო, მუსიკა, თეატრი, ტელევიზია და სხვა) მიეცემა სრული თავისუფლება. განავითარებს სამუზეუმო, საარქივო, საგამომცემლო საქმიანობას. საგანგებო ყურადღებას მიაქცევს ისტორიულ ძეგლთა დაცვას.

— მხარს დაუჭერს პროფესიული სპორტის განვითარებას, ყოველ ღონეს იხმარს ეროვნული ფედერაციების საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად. იზრუნებს ეროვნული სპორტული სახეობების აღდგენისა და განვითარებისათვის სოფლად სპორტული მოედნებისა და კომპლექსების შექმნისათვის.

### ერთაშორისი ურთიერთობები

— საქართველოში ეროვნული კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთ პირობად მიიჩნევს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევასა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ძირეულ გაუმჯობესებას.

— კონფლიქტების თეორიის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეისწავლის და დახვეწს ათწლეულობით ჩამოყალიბებულ ეროვნულ, საწარმოო-ეკონომიკურ თუ სოციალურ კავშირებს, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. შეიმუშავებს მსგავსი კავშირების დამყარების ეფექტიან გზებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

— აღიარებს ერთა თანასწორუფლებიანობას და ურთიერთპატივისცემას განურჩევლად სარწმუნოებრივი მრწამსისა, პოლიტიკური შეხედულებებისა;

— ხელს შეუწყობს საქართველოს ფარგლებში მცხოვრები ხალხების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დაწინაურებას.

— სრულიად საქართველოს თავისუფალ მიწათმოქმედთა კავშირი კეთილი ნებით უწვდის ხელს ყველა ეროვნებისა და ქვეყნის მიწათმოქმედთ და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე მოაწესრიგებს მათთან ურთიერთობას.

## საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმა

**საქართველოს** სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც დააარსა ნოე ჟორდანიამ, 1918-1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი პარტია იყო. 1990 წლის თებერვალში იგი თვისებრივად ახალ საფუძველზე იქნა აღორძინებული.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის , **მიზანია** საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და სოციალური დემოკრატიის სამართლებრივი საზოგადოების დამკვიდრება.

**დევიზი** — ყველა მშრომელი უნდა გახდეს მესაკუთრე, ყველა მესაკუთრე უნდა იყოს მშრომელი.

**პრინციპებია** ეროვნული თავისუფლება, პოლიტიკური პლურალიზმი, ეკონომიკური თვითმმართველობა, სოციალური სამართლიანობა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, დემოგრაფიული წონასწორობა, საგარეო კარგახსნილობა.

**იდეური საფუძველია** ზოგადსაკაცობრიო ეთიკა, განმანათლებლობა, ჰუმანისტური ფილოსოფია, მოძღვრებები სოციალური სამართლიანობის შესახებ, სახალხო და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლის გამოცდილება.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია მზად არის ითანამშრომლოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა პოლიტიკურ ძალასთან, ვინც თავისი მიზნების განხორციელებისას არ მიმართავს ძალისმიერ მეთოდებს, არ ავლენს ძალაუფლების მონოპოლიური ფლობის მისწრაფებას, არ დგას შოვინიზმისა და იზოლაციონიზმის პოზიციებზე.

საქართველოს სოციალ-დემოკრატები გმობენ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც ხელყოფენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და პატივს არ სცემენ მის სუვერენულ უფლებებს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს მემარცხენე, მშრომელი ხალხის პარტიას და ემიჯნება მემარჯვენე პარტიებს, რომელთა იდეების ხორცშესხმას მოსდევს საზოგადოების ქონებრივი პოლარიზება, ერის სოციალური გათიშვა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატები ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარებისათვის მთელ პასუხისმგებლობას აკისრებენ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც საზოგადოება იმთავითვე არაბუნებრივი განვითარების გზაზე დააყენა და კატასტროფის პირამდე მიიყვანა. ამასთან, ისინი მიიჩნევენ, რომ კომპარტიის მიერ ჩადენილი დანაშაულობებისათვის მასში გაწევრიანებული მშრომელი ხალხის წარმომადგენლები ბრალეულნი არ არიან.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს ევროპული ტიპის პარლამენტარულ პარტიას. იგი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია. დღეს მსოფლიოს 27 ქვეყანაში (საფრანგეთი, ავსტრია, ავსტრალია, შვეცია, შვეიცარია, ბელგია, ფინეთი, ჰოლანდია, იტალია და სხვ.) ხელისუფლების სადავეები სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელშია.

### ჩვენი წინადადებები საქართველოს

#### 1. პოლიტიკური ცხოვრების სფეროში

— საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა პარლამენტის მიერ შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებითა და მათი განხორციელებით.

—ცენტრთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების დაუშვებლობა. რუსეთთან და სხვა რესპუბლიკებთან პარიტეტულ საწყისებზე ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარება.

— საქართველოში მცხოვრები ეროვნებებისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და მათი თავისუფალი განვითარების ხელშეწყობა.

— ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე საქართველოს ტერიტორიული საზღვრების აღდგენის მიზნით მოლაპარაკებების გაშლა შესაბამის სახელმწიფოებთან.

— ახალი, დეიდეოლოგიზებული კონსტიტუციის მიღება. კონსტიტუციური ნორმებისა და კანონმდებლობის შესატყვისება საერთაშორისო სამართალთან.

— პიროვნების თავისუფლებებისა და პოლიტიკური უფლებების გაფართოება.

— პრეზიდენტის პოსტის შემოღება. სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაცია. საერო (მუნიციპალური) თვითმმართველობის დამკვიდრება.

— სახელმწიფო უშიშროების სამსახურის დემონოპოლიზაცია. დაზვერვისა და კონტრდაზვერვის დამოუკიდებელი უწყებების შექმნა.

— სახელმწიფო და სამართალდამცველი ორგანოების დეიდეოლოგიზაცია. სამუშაო ადგილის მიხედვით ნებისმიერი პარტიის ორგანიზაციის ფუნქციონირების აკრძალვა. კომუნისტური პარტიის მიერ უზურპირებული ქონების ხალხისათვის დაბრუნება.

— თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის ხელშეწყობა. წარმოების მესაკუთრეების (ადმინისტრაციის) და მუშების ერთი და იგივე პროფესიულ ორგანიზაციაში გაერთიანების დაუშვებლობა.

— პრესისა და გამომცემლობების თავისუფლების მატერიალური უზრუნველყოფა. კომერციული ტელევიზიისა და რადიოს შექმნა.

— ათეისტთა და მორწმუნეთა უფლებრივი გათანაბრება, ეკლესიის საშინაო საქმეებში სახელმწიფოს ჩარევის აკრძალვა.

—შემოქმედების, მეცნიერული კვლევის, სწავლა-აღზრდისა და განათლების თავისუფლება.

— თავისუფალი ახალგაზრდული და ფემინისტური (ქალთა) მოძრაობის ხელშეწყობა.

—ნაფიც მსაჯულთა და კერძო დეტექტივების ინსტიტუტების შემოღება. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის მატერიალური უზრუნველყოფა. ერთიანი საგამოძიებო სამსახურის შექმნა.

— კანონისადმი ყველას დამორჩილება. დემოკრატიისა და წესრიგის ურთიერთშეხამება, ანარქიის, კორუფციის, პოლიტიკური რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლის გაშლა.

— მშვიდობიანობის დროს ადამიანის სიკვდილით დასჯის აკრძალვა და მისი შეცვლა სამუდამო პატიმრობით.

— მუნიციპალური მილიციისა და ეროვნული შინაგანი ჯარების (სახალხო გვარდიის) შექმნა.

— საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღება. საქართველოს ფარგლებში მიგრაციის თავისუფლება. საპასპორტო რეჟიმის გაუქმება.

— თითოეული მოქალაქისათვის ემიგრირებისა და სამშობლოში უკან დაბრუნების უფლების მინიჭება.

— საქართველოს მოქალაქის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდა საქართველოს ფარგლებში, მისი ვადის შემცირება 12 თვემდე.

— ეროვნული სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბება და პროფესიული შეიარაღებული ძალების შექმნა.

— ოფიცერთა ეროვნული კადრების მომზადებისათვის მრავალპროფილიანი სამხედრო აკადემიის გახსნა.

— თავდაცვის ეროვნული სამინისტროს შექმნა და მის სათავეში მხოლოდ სამოქალაქო პირების ჩაყენება.

— საზღვარგარეთის ქვეყნებში საელჩოებისა და საკონსულოების გახსნა.

— საქართველოს გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

— საქართველოს გამოცხადება ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალ ზონად.

#### 2. ეკონომიკური ცხოვრების სფეროში

— სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია. ანტიმონოპოლიური კანონის მიღება.

— პიროვნებისათვის წარმოების საშუალებებზე საკუთრების უფლების მინიჭება.

— საკუთრების პრივატიზაციის ფორმების მრავალფეროვნება: ყიდვა, იჯარით მიღება, მისი შეძენა კრედიტით ან საპაიო შესატანით.

— ჯგუფური, კერძო და სახელმწიფო საკუთრების ურთიერთშეხამება. საკუთრების შერეული ფორმების დანერგვა.

— თავდაცვითი და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოების გარდაქმნა აქციონერულ კორპორაციებად.

— ეროვნული სიმდიდრის ინვენტარიზაცია.

— საბაზრო მეურნეობისათვის აუცილებელი საკრედიტო-საფინანსო, სადაზღვევო და სხვა დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება.

— ეროვნული სახელმწიფო ბანკის შექმნა, კომერციული და კოოპერაციული ბანკების ქსელის გაფართოება. ეროვნული ვალუტის შექმნა. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია.

— საცალო და საბითუმო ვაჭრობის თავისუფლება. კომერციული რეკლამის განვითარება.

— სატარიფო ავტონომიის შემოღება. სახელმწიფოს ჩაურევლობა სატარიფო განაკვეთების განსაზღვრაში. მის მიერ მხოლოდ შრომის ანაზღაურების მინიმალური ზღვრის დადგენა.

— სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან მეწარმეობრივი საქმიანობის ამკრძალავი ნორმების ამოღება. შესაბამისი მუხლებით დასჯილ პირთა საქმეების გადასინჯვა.

— მოქალაქეთა საკუთრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრება.

— სახელმწიფო ქონების მართვის სპეციალური უწყების შექმნა.

— ფასწარმოქმნის დემონოპოლიზაცია.

— ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თავისუფალი კურსის შემოღება. სავალუტო საშინაო ბაზრის ჩამოყალიბება.

— ეკონომიკის რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ არაპირდაპირ — საფინანსო, საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო ბერკეტების გამოყენებით.

— ყველა ტიპის საწარმოებში საწარმოო თვითმმართველობის დამკვიდრება.

— საწარმოებისათვის უფლების მინიჭება დამოუკიდებლად განსაზღვრონ წარმოების მოცულობა და ნომენკლატურა, ფასები წარმოებულ პროდუქციაზე, დაამყარონ ჰორიზონტალური კავშირები პარტნიორებთან, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში.

— მეცნიერულ-ტექნიკური ინოვაციების დანერგვის სტიმულირება.

— მიწაზე სახელმწიფო საკუთრების დემონოპოლიზაცია. ფერმერული, სააქციო და სათემო მეურნეობების დამკვიდრება, ეკლესიებისათვის სამონასტრო მიწების დაბრუნება.

— კერძო საკუთრებაში მიწის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა მიწის კადასტრისა და ოჯახის წევრთა პირადი შრომით მისი დამუშავების შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

— სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განვითარება. გლეხებისათვის შეღავათიანი სესხების გაცემა.

— სახელმწიფოს მიერ სოფლებისათვის ტყეების, წყლების, მარაგი მიწის იჯარით გაცემა.

— მცირე მექანიზაციის განვითარება. გლეხური მეურნეობების უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით.

— საქართველოს ჩართვა შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში.

— საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა.

— უცხოური ინვესტიციებისა და უახლესი ტექნოლოგიების მოზიდვა, საზღვარგარეთელი სპეციალისტების გამოყენება, ეროვნული სამეურნეო კადრების მომზადება უცხოეთში.

#### 3. სოციალური ცხოვრების სფეროში

— შემოსავლების გადანაწილების მექანიზმის შემუშავება მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაციის უკიდურესი ფორმების თავიდან აცილების მიზნით.

— ნომენკლატურული პრივილეგიების გაუქმება. ყველა ადამიანის უზრუნველყოფა სოციალური უფლებების განხორციელების შესაძლებლობათა თანასწორობით.

— სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში ჯგუფური, კერძო და სახელმწიფო სექტორების, უფასო და ფასიანი მომსახურების შეხამება.

— საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების სტრუქტურისა და დანიშნულების შეცვლა. მათი განაწილება მხოლოდ არაშრომისუნარიანებზე და იმ მომუშავე პირებზე, რომელთა შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს ოჯახის წევრებს ცხოვრების საარსებო მინიმუმით.

— ნებაყოფლობითი ავტონომიური მიზნობრივი ფონდების შექმნა.

— სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სტანდარტული მინიმუმის ზევით მომსახურების მიღება მხოლოდ პირადი შემოსავლის ან მიზნობრივი ფონდების ხარჯზე.

— მოსახლეობის ყოველწლიური უფასო დისპანსერიზაციის დამკვიდრება.

— თითოეული ადამიანისათვის კვალიფიკაციის შესაბამისი და სასურველი შრომითი საქმიანობის არჩევის უფლების უზრუნველყოფა.

— შრომის ბირჟებისა და პროფესიული გადამზადების ცენტრების ჩამოყალიბება.

— ინფლაციის ზრდის კვალობაზე შრომის ანაზღაურებისა და ანაბრებზე სარგებლის პროპორციული მომატება.

— ყოველკვირეული ხელფასის შემოღება.

— შვებულების ხანგრძლივობის მინიმალური ოდენობის გაზრდა.

—ხუთ წელიწადში ერთხელ თითოეული მშრომელისათვის უფლების მიცემა ერთ წლამდე მოწყდეს სამსახურს პირადი საქმეებისათვის საარსებო მინიმუმის, სამუშაო ადგილისა და სტაჟის შენარჩუნებით.

— ოჯახში ბავშვთა აღზრდის გათანაბრება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. პასუხსაგებ თანამდებობებზე საქართველოში ქალთა აქტიური დაწინაურება.

— განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია. სკოლების გადაცემა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში. უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ავტონომია.

— საზოგადოებრივ ტრანსპორტზე მოსწავლეებისათვის უფასო მგზავრობის შემოღება.

— ეკოლოგიური უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის შექმნა, სპეციალური უწყებებისათვის ეკოლოგიური ვეტოს, ტექნოლოგიების ექსპერტიზისა და ატესტაციის უფლების მინიჭება.

— ენერგიის აღდგენადი წყაროების მოძიება, მისი მიწოდების დეცენტრალიზებული სტრუქტურების შექმნა, დედამიწის სიღრმისეული სითბოს, ქარისა და მზის ენერგიის გამოყენება, მცირე ჰესების შექმნა.

— საქართველოს ტერიტორიაზე ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის აკრძალვა.

— საწარმოო ობიექტებისა და ავტოტრანსპორტის აღჭურვა მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვის დამჭერი და გამწმენდი სისტემებით.

— სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უკონტროლო ქიმიზაციის აკრძალვა, მოსავლის აღების წინ სათანადო ექსპერტიზის ჩატარება.

— გიგანტურ მშენებლობებზე უარის თქმა. უპირატესობის მინიჭება ძველი ობიექტების რეკონსტრუქცია-განახლებისათვის.

— საქართველოს ტერიტორიაზე საწარმოო ძალთა განლაგების გაუმჯობესება არსებული შრომითი რესურსების სრული გამოყენებისა და საბაზრო მექანიზმის ამოქმედების პირობებში მოსალოდნელი უმუშევრობის შემცირების მიზნით.

— ნასოფლარ-ნასახლარების აღდგენა. მცირედ დასახლებული სოფლების გამსხვილება. ახალი ტიპის დასახლებების შექმნა.

— ჭარბად დასახლებულ რაიონებში სოციალური და კულტურული განვითარების დაჩქარება, სამრეწველო ობიექტების აშენება და ქალაქური ტიპის დასახლებების შექმნა.

## ჟამი დიდი არჩევანისა

**შარშან სექტემბერში ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი „დავიბრუნოთ პიროვნება". და ახლა, როცა მოახლოვდა პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჟამი, როცა ესოდენ გვჭირდება სწორედ პიროვნებების პარლამენტი, ვესტუმრეთ ამ წერილის ავტორს, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილეს ავთანდილ საყვარელიძეს.**

# ავთანდილ საყვარელიძე: „ვოცნებობ პიროვნებების პარლამენტზე..."



**— როგორ აფასებთ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას?**

— ცხოვრებამ უკვე დაგვიდასტურა: მხოლოდ დემოკრატია (თუნდაც შეზღუდული, თუნდაც სტიქიური და სამიტინგო) ხელს უწყობს პიროვნების აღზევებასა და წარმოჩენას. ამ ბოლო ხანს ბევრი საინტერესო, მოაზროვნე ადამიანი გამოჩნდა ასპარეზზე, პირველ რიგში კი — პოლიტიკურ ასპარეზზე.

ეს ძალიან სასიხარულო და იმედის მომცემი მოვლენაა, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ პარალელურად გაჩნდა ერთი, ჩემი აზრით, პოტენციურად საშიში ტენდენცია. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში უთქვამთ, თვით ღმერთებს არ ძალუძთ წარსულის შეცვლაო. [illegible]

[illegible] ვად ახალი პარტიის შექმნის მაგივრად მხოლოდ გარეგან კოსმეტიკურ ოპერაციად წარმოუდგენია. ზოგჯერ...

ამჟამად ერთ-ერთ მწვავე საკითხს პარტიიდან გასვლა წარმოადგენს. ჩემი აზრით, ეს მეტად ღრმა, მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელსაც გაანალიზება სჭირდება. ჩვენ ვამბობთ, პარტიამ აღიარა თავისი შეცდომები, მოინანია წარსულის დანაშაულობები. ჭეშმარიტი მონანიება — ასე გვასწავლის ისტორიაც, რელიგიაც — ცნობიერების შეცვლას ნიშნავს... თუ ეს არ მოხდა, მაშინ მონანიებასაც არ ჰქონია ფასი და პირიქით, წრფელი მონანიება იძლევა იმედს, რომ რაღაცა ძირფესვიანად შეიცვლება, ამ შემთხვ- [illegible]

[illegible] დამოუკიდებლობა მოიპოვება პოლიტიკის გარეშე. სხვა საქმეა დეპარტიზაცია. ეს სრულიად ნორმალური თვისებაა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსი. ჩემი აზრით, ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა სასწავლო, სასამართლო დაწესებულებები, მთლიანად სამართალდამცავი ორგანოები, თუნდაც ისეთი, სადაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით — ქართული ენციკლოპედია, — თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი პარტიული გავლენისაგან. ამასთან ვიტყვი: ამ ორგანიზაციათა დეპარტიზაცია არ უნდა ნიშნავდეს ერთი პარტიული გავლენის მეორით შეცვლას...

ამავე მინდა აღვნიშნო: ახლა ხში- [illegible]

[illegible] რის თუ ზოგიერთ სხვა სფეროში).

ვფიქრობ, რომ ერთი პირველთაგანი იქნება საქართველო — რუსეთის ხელშეკრულება. მართალია, ჩვენ მძიმე ტვირთად გვაწევს ორი ანექსიის, იმპერიული და ნეოიმპერიული პოლიტიკის, რუსიფიკაციის პროცესების მოგონება. მაგრამ რეალობა მაინც ობიექტურად უნდა შევაფასოთ: მე[illegible] ეკონომიკური და კულტურული კავშირები, ადამიანური ურთიერთობანი, სარწმუნოება, გეოპოლიტიკური ფაქტორი და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების გარკვეული დამთხვევა.

ნუ დავივიწყებთ, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის პროცესს ხელმძღვანელობდა საკუთარი მიზნების მიღწევის კლასიკოსი. ათ- [illegible]

[illegible] ობით წლები დასჭირდათ დღევანდელი ტიპის საბაზრო ეკონომიკისათვის რომ მიეღწიათ. მრავალი გრძელი, რთული და მომქანცველი ეტაპი გაიარეს. ჩვენ კი... ბოლო საფეხურს უშუალოდ უნდა მივაღწიოთ, მაგრამ როგორ? რა მექანიზმი გამოვიყენოთ, რომ გვერდი ავუაროთ „ჯუნგლების" ტიპის საბაზრო ეკონომიკას.

მეორე: ამჟამად პრივატიზაციასა და კერძო საკუთრებაზე გადასვლის სხვადასხვაგვარი მოსაზრება არსებობს. უმთავრესად მიმაჩნია, რომ პარლამენტმა ისეთი მექანიზმი შეიმუშაოს, რომელიც უკლებლივ ყველას ერთნაირ, თანასწორუფლებიან სასტარტო მდგომარეობას შეუქმნის.

მესამე: საბაზრო ეკონომიკას [illegible]

[illegible] როგორც აუცილებელი, მნიშვნელოვანი რგოლები. აი, აქ გვმართებს ახლა ძალისხმევა. ვფიქრობ, ამგვარი მექანიზმი საქართველოს ახლადარჩეულმა პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს და ამისთვის მთელი ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი გამოიყენოს. ჩემს შეშფოთებას სწორედ ის იწვევს, რომ სპეციალისტები (ეკონომისტები უპირველესად) ერთად კი არა, ცალ-ცალკე მუშაობენ და ფიქრობენ, დაშორიშორება კი ახლა ძალზე საზიანოა.

**— ბატონო ავთანდილ, რა უნდა იყოს ის პირველი კანონი, რომელსაც მიიღებს ახალი უზენაესი საბჭო და რაზე უნდა გაამახვილოს მან ყურადღება?**

— თავიდანვე მოგახსენებთ, [illegible]

[illegible] იცავენ ადამიანს, ის, რომ ეცემა პასუხისმგებლობა და დისციპლინა, ის, რომ იკარგება შრომისადმი პატივისცემა და სიყვარული.

ურთულეს პერიოდში, 20-იან წლებში, რამდენიმე კატასტროფული ხასიათის კატაკლიზმის შემდეგ, შალვა ნუცუბიძემ მოულოდნელად ასეთი დევიზი შემოგვთავაზა: „გაუმარჯოს საქმიან საქართველოს"! და ეს იყო უკანასკნელი შესაძლებლობა, არ დაღუპულიყო ყოველმხრივ შეზღუდული, გათელილი, შევიწროებული, გაწამებული საქართველო. ეს იყო ერთადერთი საშუალება საკუთარი მეობის გადასარჩენად. ასე მგონია, თუკი დღემდე რაიმე მოგვეყვანა, თუკი მივაღწიეთ რეალურ დამოუკიდებლობას, ეს, ისევ და ისევ, საქმიანი, ფიზიკურად და გონებრივად მშრომელი საქართველოს, ქართველი ხალხის წყალობაა. აი, ეს საქმე გვჭირდება დღესაც.

და ერთიც, ალბათ მთავარი: სამწუხაროდ, ბოლო ხანს ჩვენშიც შეიმჩნევა ძალადობის კულტის აღდგენის სიმპტომები. არადა, ისტორიამ მრავალჯერ დაგვანახა, რომ [illegible]

[illegible]

## გმადლობთ და მშვიდობით!

16 ოქტომბერს საქართველოს საზოგადოებრიობა გამოეთხოვა ლეგენდარულ ფეხბურთელს ბორის პაიჭაძეს.

ეს დღე სათამაშო დღე არ ყოფილა, მაგრამ ხალხის ნაკადი დილიდანვე დაუსრულებლად მოედინებოდა თბილისის ეროვნული სტადიონისაკენ.

თითქმის 55 წლის წინათ ამ საფეხბურთო მოედანზე გაიმართა ბორის პაიჭაძის დებიუტი თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში, დაიწყო საფეხბურთო ოლიმპზე მისი ასვლა.

...მწუხარე დუმილით გარინდულა ათასობით ადამიანი სტადიონის ტრიბუნებზე. მოედნის ცენტრში, რომელზეც მრავალი წლის განმავლობაში თავისი ნიჭით ბრწყინავდა დიდი ფეხბურთელი, დასვენებულია მისი ცხედარი.

წუხილითა და მადლიერებით იყო გამსჭვალული სიტყვები, სამგლოვიარო მიტინგზე რომ [illegible]

(საქინფორმი).

# წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების პროგრამებს

## საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირის საარჩევნო ბლოკის პლატფორმა

**ცხოვრების** არსებული წესის პირობებში პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიკურმა კრიზისმა ზენიტს მიაღწია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული ძალების ზემოქმედებით სახელმწიფო-დიქტატურულმა აპარატმა დაიწყო დაშლა. არადემოკრატიული ძალები იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის გამოცხადებას, რესპუბლიკის ფიქციური სუვერენიტეტის აღიარებას. საქართველოში ხელოვნურად შექმნილმა ეთნიკურმა კრიზისებმა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების დაპირისპირებამ და სხვა უარყოფითმა მოვლენებმა არსებითი წინააღმდეგობები წარმოშვა ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის გზაზე. ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის განსახორციელებლად იბრძვის საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიელთა კავშირის საარჩევნო ბლოკი, იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელი ნაწილია.

საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიები უპირველეს მიზნად ისახავენ როგორც საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა ერთიანობას, ისე თვით ეროვნებათა შიგნით არსებული კუთხეებისა და ეთნიკური ჯგუფების კონსოლიდაციას. პარტიები მოწოდებული არიან პატივი სცენ საქართველოში მცხოვრები ყველა ერის ენას, კულტურას, ტრადიციებს, კანონმდებლობის ფარგლებში ხელი შეუწყონ მათ განვითარებას, იმის გათვალისწინებით, რომ ქართველ ერს სხვა ერების თავისუფლების გარანტია მხოლოდ დამოუკიდებლობის პირობებში შეუძლია, რაც გარკვეული აზრით ერთად შეკავშირების, დამოუკიდებლობისათვის გაერთიანებული ბრძოლის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს.

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიები იბრძვიან საქართველოს მოსახლეობაში არსებული უთანასწორობისა და შეზღუდულობის წინააღმდეგ, სოციალური უუფლებობისა და უსამართლობის აღმოსაფხვრელად, სოფლისა და მთის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენის დასაძლევად, ეროვნული თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის განსახორციელებლად, საქართველოს მშრომელთა ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

პარტიები დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ფართოდ განვითარების საფუძველზე შეიმუშავებენ საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და კუთხის მისასადაგებელ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის მეთოდებსა და ფორმებს, იბრძოლებენ მათი განხორციელებისათვის. ხელს შეუწყობენ, რათა თანამედროვე მეცნიერული მიღწევების დონეზე შემუშავებულ იქნეს ეროვნულ-პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და თავდაცვითი დოქტრინები, საჯაროობის გათვალისწინებით მოხდეს მათი პრაქტიკული განხორციელება. იხელმძღვანელებენ იმ სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურებით და კონცეფციებით, რომლებიც შეესაბამება საქართველოში მცხოვრებ ყველა ერსა და კუთხეს, და რაც აღმავლობას მოუტანს ეროვნულ ეკონომიკას, პოლიტიკას, სულიერ ცხოვრებას.

პარტიები მხარს უჭერენ ეკონომიკაში პროგრესულ გარდაქმნებს როგორც საერთო, ისე ეროვნულ საწყისებზე, ერის ინტერესებიდან გამომდინარე დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას, არსებული ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატის მსხვრევას, საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის ზრდას, ადამიანთა შორის მაღალი ზნეობრივი ურთიერთობების დამკვიდრებას, მეცნიერების განვითარებას, საერთოდ ეროვნული წარმოების აღმავლობას და ზედნაშენი ურთიერთობების სრულყოფას, ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისაგან განსხვავებით, მთიელთა კავშირი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს მთის მოსახლეობის (მთიანი აჭარა, აფხაზეთი, ოსეთი, ქართლი, სამეგრელო, გურია, იმერეთი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ხევი) ინტერესების დაცვას, საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაში პოლიტიკური და კულტურული მუშაობის გაშლას, საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ნებაყოფლობითი საზოგადოების პროგრამის პრაქტიკულ რეალიზაციას, მთიელთა ინტერესებიდან გამომდინარე რესპუბლიკის მთავრობისადმი სათანადო წინადადებების მომზადებას, რომლებიც საფუძვლად დაედება მთაში საჭირო ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას, მთის ზონისათვის განსაკუთრებული სოციალ-ეკონომიკური სტატუსის მინიჭებას.

საარჩევნო ბლოკის პარტიები თავისი საწესდებო, საპროგრამო ამოცანების განხორციელებისათვის ეყრდნობიან არა მარტო საქართველოს მოქალაქეთა ერთიანობას, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ფართო საზოგადოებას, მიუხედავად მათი ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა, რასისა, ენისა, განათლებისა და სქესისა.

პარტიები მოწოდებული არიან საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროში მოახდინონ არსებითი თვისებრივი ცვლილებები:

**პოლიტიკის სფეროში** ბლოკი იბრძოლებს დემოკრატიული მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის შემდგომი სრულყოფისა და განმტკიცებისათვის, როდესაც საქართველოს ყველა მოქალაქეს თუ მოქალაქეთა ჯგუფს ექნება თავისი კანონიერი პოლიტიკური ინტერესების გამოხატვისა და რეალიზაციის სრული უფლება და შესაძლებლობა. საჭიროდ მიაჩნია საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, მხარს უჭერს ეროვნული სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას, საგარეო პოლიტიკის სრულყოფას, ახალი პროგრესული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, რომელიც დაფუძნებული იქნება თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის და ტერიტორიული მთლიანობის აღიარების პრინციპებზე, იღწვის არა ეროვნული სახელმძღვანელო აპარატის გაუქმებისათვის, რომლის პროცესშიც თანმიმდევრულად გამოირიცხება მმართველი კლასების, პარტიების, დაჯგუფებების ბიუროკრატიული დიქტატურა, მოითხოვს ეროვნული კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონების სრულყოფას, ისეთი საარჩევნო კანონების შემუშავებას, რომელთა საშუალებითაც საქართველოს ყველა კუთხეს, რეგიონს, პარტიას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს შესაბამის პარლამენტში თავისი წარმომადგენლის არჩევისა.

პარტიები მხარს უჭერენ საქართველოს ეროვნული პარლამენტის მუშაობის გაუმჯობესებას, — მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროდ განხილვით, საზოგადოებრივი კონტროლის ზრდით, ეროვნული იურიდიული კანონების მიღებით, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებით. საჭიროდ მიაჩნია საქართველოს ნეიტრალიტეტის მიღწევა და მისი გახდომა გაერთიანებული ერების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დამოუკიდებელ წევრად. ამასთანავე ეროვნული თავდაცვითი დოქტრინის შემუშავება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და განმტკიცება, ამ თვალსაზრისით საკუთარი ეროვნული სამხედრო წარმოების განვითარება, ეროვნული ჯარის შექმნა და მისი განლაგება სასაზღვრო რეგიონალური პრინციპების შესაბამისად. მთელი რიგი სახელმწიფო ინსტიტუტების დეცენტრალიზაცია, არმიის, მილიციის, სახელმწიფო უშიშროების ძალების ეროვნული პარლამენტისადმი დაქვემდებარება.

პარტიები მოწოდებული არიან საქართველოს სხვადასხვა ეროვნებათა და ეთნიკურ ერთეულთა თვითგამორკვევისათვის, საქართველოს იმ კუთხეთა კულტურულ-ეროვნული ერთიანობის სამართლებრივი გარანტიების განმტკიცებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი ადმინისტრაციული რაიონები. ილაშქრებენ იმ სამართლებრივი ნორმებისა და კანონების წინააღმდეგ, რომლებიც უშვებენ მოქალაქეთა არათანასწორუფლებიანობას მათი ეროვნული ან კუთხური განსხვავებულობის გამო. მხარს უჭერენ საქართველოს მოსახლეობის ყველა კუთხისა და ეროვნების ტრადიციებისა და ინტერესების გათვალისწინებას ეროვნული სამართლებრივი ნორმებისა და კანონების მიღების დროს.

პარტიები მხარს უჭერენ სხვადასხვა სახის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფორმირებას, რომლებიც მოწოდებული არიან იბრძოლონ ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური სამართლიანობისათვის, საერთოდ ყოველგვარი პროგრესულის განვითარებისათვის. იღწვიან საქართველოს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კონტაქტის გაფართოებისათვის, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებთან თანამშრომლობისათვის, სადაც ისინი ცხოვრობენ. ბლოკში გაერთიანებული პარტიები მოწოდებული არიან კაცობრიობის მშვიდობიანი წინსვლისათვის. ილაშქრებენ ყოველგვარი მუქარისა და ძალის გამოყენების, სამხედრო კონფრონტაციისა და სხვა არაპროგრესული პოლიტიკური მოვლენების წინააღმდეგ. საჭიროდ მიაჩნიათ შეიქმნას ეროვნული სამართლებრივი ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის განვითარებას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ბუნებრივი გარემოს გაჯანსაღებისა და ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, რესპუბლიკაში მძიმე დაავადებების, ნარკომანიის, საერთაშორისო ტერორიზმის, სხვადასხვა კრიზისული მომენტების დაძლევისათვის.

პარტიები იღწვიან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მისაღწევად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთანობის დასამკვიდრებლად.

**სოციალურ სფეროში** ბლოკი განახორციელებს თანასწორუფლებიანობის პოლიტიკას, იბრძოლებს საქართველოს მოსახლეობის ინდივიდუალური, ჯგუფური და რეგიონალური ცხოვრების დონეთა შორის არსებითი განსხვავების დასაძლევად, რეგიონალური, ნათესაური და სხვა მონოპოლიური დაჯგუფებების აღმოსაფხვრელად; კუთხურობის, შოვინიზმის, რელიგიური და პოლიტიკური ნიშნების მიხედვით ადამიანთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად, ეროვნული პარლამენტის საკანონმდებლო აქტებით განმტკიცებული რელიგიების სრული თავისუფლებისათვის.

პარტიები ხელს შეუწყობენ: პიროვნების ღირსების დაცვას; ეროვნული თვითგამორკვევისა და სინდისის თავისუფლებას, სხვა ქვეყნებში მიმოსვლის შეუფერხებლობას, შრომის უფლებასა და პატიოსანი შრომის აღიარებას. შრომის მიხედვით სამართლიანი ანაზღაურების განხორციელებას, დაუმსახურებელი შემოსავლისა და პრივილეგიების აღმოფხვრას.

პარტიები მხარს უჭერენ საქართველოში მყოფი გაჭირვებული და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარების მიცემას, დედათა და ბავშვთა სოციალური გარანტიების დაცვას, მოხუცების და ინვალიდების მდგომარეობის გაუმჯობესებას, კატასტროფისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგად დაზარალებულთათვის საჭირო დახმარების გაწევას, სამამულო ომის მონაწილეთა, მეომარ-ინტერნაციონალისტთა და ამ ომებში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების სისტემატურ გაზრდას. საქართველოს მოსახლეობის განათლების, მეცნიერების, კულტურის დონის ამაღლებას, მოცემული სფეროების რეორგანიზაციას ეროვნულ საწყისებზე და მათში საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი საქონლო-ფულადი ურთიერთობის დამკვიდრებას.

პარტიები მოწოდებული არიან, საქართველოს ყველა მოქალაქეს მიეცეს შესაძლებლობა თავისი ნიჭისა და უნარის გამოსავლენად, დაიძლიოს ქართული მეცნიერების ჩამორჩენა. აღმოიფხვრას კორუფციის, ნათლიმამობის და სხვა მავნე მოვლენების არსებობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. დაიხვეწოს მოქმედი კანონმდებლობა და დროულად დამუშავდეს კანონები — უმუშევრობის, საქართველოს მოქალაქეობის, რეფერენდუმის და სხვა.

პარტიები იბრძოლებენ როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ქართული კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღდგენისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარებისათვის, ფართო გამაჯანსაღებელი პროგრამის შემუშავებისათვის, ეროვნული ფედერაციების საერთაშორისო ორგანიზაციებში შესვლისათვის.

**ეკონომიკის სფეროში** საარჩევნო ბლოკი მხარს დაუჭერს და პრაქტიკულ წვლილს შეიტანს, საქართველოში ეროვნული საკუთრების მრავალფეროვნებაზე დაფუძნებულ თანამედროვე ტიპის საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას. იბრძოლებს ადამიანთა გაუცხოების დაძლევისათვის მათ მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულებისაგან; ბუნებრივი და საზოგადოების მიერ შექმნილი სიმდიდრეების, უპირველესად კი საკავშირო საწარმოების და სხვა ობიექტების ეროვნულ საკუთრებად გადაქცევისათვის, სახელმწიფო და სხვა საწარმოების თანასწორუფლებიანი და თავისუფალი განვითარებისათვის.

მეურნეობის სწორი ფუნქციონირებისათვის პარტიები საჭიროდ მიიჩნევენ საკუთრების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას (ინდივიდუალური, კოოპერაციული, შერეული და ა. შ.) რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. აღიარებენ მიწაზე საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საკუთრებას, რომელიც მუდმივ მფლობელობაში, მემკვიდრეობის უფლებით უნდა გადაეცეთ როგორც საქართველოს ინდივიდუალურ მოქალაქეებს, ისე მშრომელთა კოლექტივებს. იღწვიან ეკონომიკის შემდგომი დემოკრატიზაციისა და დემონოპოლიზაციისათვის. წარმოების საშუალებათა პრივატიზაციისათვის იმ ზომით, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას. თანამედროვე პირობებში ეროვნული წარმოების განვითარების მნიშვნელოვან ფორმად მიიჩნევენ საიჯარო ურთიერთობას, გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებს, სააქციო საზოგადოებებს.

პარტიები მხარს უჭერენ ისეთი განაწილებითი მექანიზმების ფორმირებას, რომლებიც დაფუძნებული იქნება სამართლიანობაზე, წინ გადაეღობება უშრომელ შემოსავალს, შრომის, ანაზღაურებაში გათანაბრებას და ყოველივე იმას, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ნორმებსა და პრინციპებს. საჭიროდ მიიჩნევენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საკანონმდებლო, სამართლებრივი ნორმებისა და მექანიზმების შემუშავების დაჩქარებას, მიწის, თავისუფალი მეწარმეობის, საწარმოთა დაბეგვრის, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის და სხვა ეროვნული კანონების მიღებას. ეროვნული ეკონომიკის რაციონალური ფუნქციონირებისათვის მოითხოვენ დამოუკიდებელი საფინანსო და საკრედიტო სისტემების ჩამოყალიბებას, საკუთარი საბანკო სისტემისა და ვალუტის შემოღებას.

იბრძვიან რეგიონალური, ჯგუფურ-დარგობრივი და სხვა სახის ექსპლოატატორული ურთიერთობების აღმოსაფხვრელად, საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის, ეროვნული ფასებისა და აგრარული პოლიტიკის შემუშავებისათვის.

პარტიები აუცილებლად მიიჩნევენ ეროვნული სამეურნეო მექანიზმის ფორმირებას, ბუნებრივი რესურსების პასპორტიზაცია, სამუშაო ძალის, მიწის და სხვა ეროვნულ სიმდიდრეთა კადასტრების შედგენას. იბრძვიან თანამდებობათა ნათესაური და რეგიონალური მემკვიდრეობით გადაცემის წინააღმდეგ, ყველა დონეზე მართვის სტრუქტურის სრულყოფისათვის, პროგრესული კონკურენციის განვითარებისათვის, ეროვნული საწარმოო პოტენციალის, ბუნებრივი და სხვა რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

პარტიებს საჭიროდ მიაჩნიათ საქართველოში შეიქმნას თავისუფალი ეკონომიკური ზონები, მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გარდავქმნათ საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურა, ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოხდეს საწარმოო ძალთა განლაგება, სრულყოფილ იქნეს საგარეო-ეკონომიკური სტრატეგია, რაციონალურად გამოვიყენოთ შრომის ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო დანაწილების შესაძლებლობანი, მიუხედავად სახელმწიფოთა საზოგადოებრივი წყობისა, განვავითაროთ მათთან სავაჭრო, სამედიცინო, საგანმანათლებლო, საკრედიტო და სხვა სახის თანამშრომლობა.

საარჩევნო ბლოკის პარტიების მიერ ზოგად ასპექტში წარმოდგენილ იქნა საარჩევნო პლატფორმა, მისი დამატებითი დაკონკრეტება უნდა მოხდეს ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრების დროს. დღეს საქართველოს ყველა მოქალაქის პირად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი. პარტიები იმედოვნებენ, რომ რესპუბლიკის ყველა მოქალაქე მივა საარჩევნო ყუთთან და ხმას მისცემს ღირსეულთ, აირჩევს ერისათვის თავდადებულ ადამიანებს მომავალ პარლამენტში, სადაც უნდა გადაწყდეს მრავალი კარდინალური საკითხი, როგორც საერთო, ისე ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის განხორციელების საქმეში.

კომუნისტი

# მიმდინარეობს ხელმოწერა ჩვენს გაზეთზე

## გაზეთი — მკითხველისათვის! მკითხველი — გაზეთისათვის!

ჯერჯერობით იგი გამოდის ძველი სახელწოდებით — „კომუნისტი“. ასე შეეჩვია ჩვენი მკითხველი მას აგერ 70 წლის მანძილზე. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ახალი წლიდან, იქნებ მანამდეც, მას ახალი სახელითა და განახლებული შინაარსით, როგორც იტყვიან, სახეშეცვლილსა და სახელშეცვლილს მიიღებს ხელმომწერი.

და ეს ყველაფერი გაკეთდება საზოგადოებრიობის ფართო ფენების მოთხოვნათა გათვალისწინებით, იმ სასიკეთო სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი ძვრების ყვალობაზე, რომლებიც ახლა საქართველოში მიმდინარეობს.

ფერისცვალებისა და განახლების პროცესი შეუქცევადია. ჩვენ გადაჭრით ვემიჯნებით წარსულის ისეთ მემკვიდრეობას, რომელიც უკავშირდებოდა ეკონომიკური და სოციალური უსამართლობის დამკვიდრებას, ეროვნული ინტერესების ხელყოფას, მართვის ადმინისტრაციულ და ბიუროკრატიულ მეთოდებს, ადამიანის დამდაბლებასა და დამცირებას, მისი რწმენისადმი უპატივცემულობას. დიახ, გამრუდდა ბევრი რამ და ვერც ეგრეთ წოდებულმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დააღწიეს თავი ცოდვებს.

ეს სათქმელადაც ძნელია, ხოლო გასაკეთებლად ათასჯერ მძიმე, მაგრამ სხვა გზა და სხვა ხსნა უბრალოდ არ არსებობს. თავისი მტკიცე პოზიცია გაზეთმა ნათლად გამოხატა 9 აპრილის მოვლენების ობიექტური გამოძიებითა და ჩვენებით, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის ფაქტის ფუნდამენტალური გამოკვლევით, მრავალფეროვანი ანკეტური გამოკითხვით, თუ რა ვილონოთ, რა გზას დავადგეთ ამ უაღრესად დაძაბულ და პასუხსაგებ ვითარებაში.

ცხადია, ამ მხრივ გასაკეთებელი გაცილებით მეტია. ჩვენ მოვალენი ვართ და უნდა ვეძებოთ კიდეც სიმართლე შორეულ და ახლო წარსულში, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობასა და სამომავლო ოცნებებში, რათა დავამკვიდროთ პიროვნების ნამდვილი თავისუფლება, თანასწორუფლებიანი, მრავალპარტიული, დემოკრატიული საზოგადოება, რათა ისტორიული და თანამედროვე ფაქტების ანალიზის საფუძველზე გამოვააშკარაოთ უსაგნო პრეტენზიები და აღვკვეთოთ მათთან დაკავშირებული ეთნოკრიზისები, რათა ვიყოთ უფრო გონიერი და ღონიერი, განუწყვეტლივ ვიზრდებოდეთ ხორციელად და სულიერად.

სწორედ აქ გვჭირდება ჩვენი სოფლისა და ქალაქის, ჩვენი გლეხებისა და მუშების კეთილი გული და კეთილი ხელი, ჩვენი მეცნიერების, მწერლების, შემოქმედებითი დარგის მუშაკების, აღმზრდელ-პედაგოგების, მოსწავლეთა და სტუდენტთა თანადგომა, ყველა მკითხველის სრული თანაგრძნობა, რომ ჩანაფიქრი რეალობად ვაქციოთ, მივხედოთ სრულიად საქართველოს, ყველამ და მათ შორის გაზეთმაც ღირსეულად ატაროს მძიმე და საპატიო ტვირთი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ასე ხელიხელჩაკიდებულად გვმართებს მოქმედება, და ეს იქნება ჭეშმარიტების სამსახური.

მთელ საქართველოში „კომუნისტი“ ის ერთადერთი გაზეთია, რომელიც ყოველდღიურად მშობლიურ ენაზე აწვდიდა და კვლავაც მიაწვდის მკითხველს ახალ-ახალ ამბებს, მოუთხრობს ქვეყნისა და ერის საჭირბოროტო საკითხებზე.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, ჩვენი უზენაესი სიმართლე ყოველთვის იყო და ამჟამადაც არის დამოუკიდებლობის აღდგენა, სრული თავისუფლების მოპოვება, ეროვნული წინსვლა და აღორძინება.

ღმერთმა და კაცმა მოგვიმართოს ხელი გაზეთსაც და მკითხველსაც ამ ურთულესსა და უძნელეს, მაგრამ სამართლიან საქმეში!

## შეგახსენებთ, რომ

**გაზეთი „კომუნისტი“ 1991 წლიდან გამოვა ახალი სახელწოდებით!**

მთელი წლით გაზეთის გამოწერის ფასია 19 მანეთი და 20 კაპიკი,
ნახევარი წლით — 9 მანეთი და 60 კაპიკი,
სამი თვით — 4 მანეთი და 80 კაპიკი,
ერთი თვით — 1 მანეთი და 60 კაპიკი.

**ხელმოწერის დამთავრებამდე ორიოდე კვირა დარჩა.**
**იჩქარეთ, გამოიწერეთ გაზეთი „კომუნისტი“!**

რედაქტორის მოადგილე ნოდარ ჯაველიძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 7 8 9 10 11 12 13 14